

## საქართველოს კანონი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში  
(საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო მაცნე №20 04.05.2005წელი,  
კანონი №1330-III) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 26-ე მუხლს დაემატოს მე-4 და მე-5 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 30 დღის  
ვადაში ითანხმებს ან მოტივირებული შენიშვნებით უკან აბრუნებს საჯარო  
სკოლის მიერ წარდგენილ საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდს.“

„5. საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი შეთანხმებულად  
ჩაითვლება, თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ  
ამავე მუხლის მეოთხე პუნქტით დადგენილ ვადაში იგი არ შეითანხმა ან  
მოტივირებული შენიშვნებით უკან არ დააბრუნა.“

2. კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს  
შემდეგი რედაქციით:

„დ) შეიმუშავეს საშტატო განრიგს და განსაზღვრავს სახელფასო  
ფონდს;“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.